სამეცნიერო ჟურნალ „აღმოსავლეთმცოდნეობაში“ დასაბეჭდად მიიღება ორიენტალისტიკური და ქართველოლოგიური თემატიკის სამეცნიერო მასალა.

მასალის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2026 წლის 31 აგვისტო.

ჟურნალის წესების თანახმად გაფორმებული მასალა უნდა გადმოიგზავნოს შემდეგ მისამართზე: nino.ejibadze@tsu.ge

მასალის გამოქვეყნების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ჟურნალის სარედაქციო კოლეგია.

<u>გაერთიანებულ დოკუმენტში (MS Word-ის) გთხოვთ, შეიტანოთ შემდეგი მონაცემები:</u>

1. ავტორის სახელი და გვარი;
2. სათაური;
3. ორგანიზაციის დასახელება;
4. ვრცელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე - არანაკლებ 500 სიტყვისა;
5. 5 საკვანძო სიტყვა;
6. სტატიის ძირითადი ტექსტი (MS Word-ით) ქართულად;
7. შრიფტი — **UNICODE (Sylfaen)**
8. ფორმატი — **A4**
9. თავფურცელი გააფორმეთ შემდეგი თანმიმდევრობით:

- **ავტორ(ებ)ი — 14 ზომის** შრიფტით ცენტრში;
- **სათაური — 16 ზომის** შრიფტით ცენტრში;
- ორგანიზაცია, მაგ., **„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“— 14 ზომის** შრიფტით ცენტრში;
- რეზიუმე ინგლისურ ენაზე –**12 ზომის** შრიფტით;
- **საკვანძო სიტყვები –12 ზომის** შრიფტით;

10. სტატიის ძირითადი ტექსტი დაიწყეთ მომდევნო, ახალი გვერდიდან, **12 ზომის** შრიფტით;
11. სტატიის ძირითადი ტექსტის მოცულობა – 7-10 გვერდი (ამ გვერდების რაოდენობაში არ შედის უცხოენოვანი რეზიუმე და გამოყენებული ლიტერატურის სია);
12. გამოყენებული ლიტერატურაში ანბანური თანმიმდევრობით: ჯერ ქართული, შემდეგ უცხოური გამოცემები;
13. სტრიქონებს შორის მანძილი –1.15;
14. მინდორი: ზევით-ქვევით - 2 სმ; მარჯვნივ-მარცხნივ - 2,5 სმ;
15. ფურცელი არ ინომრება;
16. ფოტოების და სხვა გრაფიკული გამოსახულების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს JPG ფორმატში.

გამოყენებული ლიტერატურის მითითების წესი:

1. წიგნის/კრებულის მითითებისას:
   ➢ გამოცემის თარიღი;
   ➢გამომცემლობა;
   ➢სტატიის შემთხვევაში ჟურნალის (კრებულის, რომელშიც განთავსებულია სტატია) დასახელება;
   ➢ჟურნალის (კრებულის), წიგნის, წიგნის ნაწილის, ღონისძიების **ISSN, ISBN;**
   ➢სპონსორ(ებ)ის დასახელება, თუ კვლევა შექმნილია რომელიმე ფონდის ფინანსური მხარდაჭერით;

2. ლიტერატურის დამოწმებისას სტატიის ტექსტში დასახელებული ყველა ავტორი მიეთითება APA-ს სტილის დაცვით (ანბანის თანმიმდევრობით):

2.1. წიგნის მითითების ნიმუში:

კვაჭაძე, ლ. (1977). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი: „განათლება“

შანიძე, ა. (1953). ქართული გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, I, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“

2.2. სტატიის დამოწმების წესი გამოყენებულ ლიტერატურაში:

2.2.1. ელექტრონული: ვებგვერდის მითითებამდე აუცილებელია ავტორის, წიგნის/სტატიის სათაურის, ჟურნალის, ჟურნალის ნომრის (**# და № სიმბოლოების გარეშე**), გვერდის (**გვ.-ს გარეშე**) გამოყოფა წერტილით, და ამის შემდეგ ვებგვერდის მისამართის მითითება; **სათაურის დამაზუსტებელი ქვესათაური უნდა გამოიყოს ორწერტილით** (მაგ., **ხევსურულის თავისებურებანი: ტექსტებითა და ინდექსით).** ავტორის გვარი უნდა იყოს მარცხნივ გაწეული, დამოწმების ყველა მომდევნო სტრიქონი — შეწეული (TAB-ღილაკით), **მაგ.:**

ნიკოლაიშვილი, მ. (2012). რა განსაზღვრავს ზმნის კონსტრუქციებს ქართულში? „სპეკალი“, 5. http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/49

2.2.2. ბეჭდური გამოცემის შემთხვევაში კრებულში მოცემული სტატიის გვერდები მიეთითოს პირდაპირ, მძიმით გამოყოფილი ტომის ნომრის შემდეგ, დეფისით:

შარაძენიძე, თ. (1955). ენათა კლასიფიკაცია ენობრივ წრეებად ვილჰელმ შმიდტისა, იკე,VII, 1-31, თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“

3. **გამოყენებულ ლიტერატურაში უცხოენოვანი წიგნების დამოწმების შემთხვევაში** მიუთითეთ ავტორის გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის სათაური, წიგნის სათაური, გამოცემის ადგილი და წელი.

4. სტატიის ციფრული იდენტიფიკატორის (DOI) არსებობის შემთხვევაში (როგორც წესი, გამოიყენება ვებმისამართის ნაცვლად) საჭიროა ვებმისამართის პრეფიქსის (**https://**) მითითება: **https://doi.org/საიდენტიფიკაციო ნომერი** (როგორც წესი, 10-ით იწყება):

✖ doi: 10.1080/02626667.2018.1560449
✔ https://doi.org/10.1080/02626667.2018.1560449

შიდატექსტური დამოწმების წესი:

1. APA-ს სტილის ბოლო, მე-7 გამოცემის მიხედვით, კონკრეტული წყაროს შესახებ მოცემულ ინფორმაციაში ყოველი ელემენტი ერთმანეთისაგან უნდა გამოიყოს წერტილით; მძიმეებს ვსვამთ ელემენტების შიდა ჩამონათვალის შემთხვევაში (მაგ.: ავტორთა გვარები, ან ავტორის გვარი, რომელსაც მოჰყვება სახელის ინიციალი); ორწერტილი გამოიყენება მონოგრაფიის/კრებულის გამოცემის ადგილისა და გამომცემლობის სახელებს შორის (და, დამაზუსტებელი, ქვესათაურის არსებობის შემთხვევაშიც);

2. **შიდატექსტური დამოწმება:**
   ციტატა:
   2.1. ბრჭყალებში ჩასმული ციტატის შემდეგ ავტორი მიეთითება შემდეგი წესით:
   მრგვალ ფრჩხილში (ავტორის გვარი, წელი, გვ. 35), იხ. ნიმუში:
   „...“ (შანიძე, 1953, გვ. 35).

   Effective teams can be difficult to describe because “high performance along one domain does not translate to high performance along another” (Ervin et al., 2018, p. 470).

   2.2. ციტატის პერიფრაზის შემთხვევაში, რომელშიც, მსჯელობის ნაწილში, მოყვანილია ავტორის გვარი, მიეთითება მხოლოდ (წელი, გვ. 67) — მრგვალ ფრჩხილებში, ავტორის დასახელების შემდეგ; მაგ., **ა. შანიძის მიხედვით (1953, გვ. 35), ...** და გაგრძელდება მსჯელობა.

3. შიდატექსტურ ციტატაში ორზე მეტი ავტორის შემთხვევაში მრგვალ ფრჩხილში მიეთითება მხოლოდ პირველი ავტორი:

3.1. **ქართულში:** (ქალდანი და სხვ., 1978, გვ. 45)
3.2. **ინგლისურში:** (Kaldani et al., 1978, გვ. 45)

4. 40 სიტყვაზე მეტი მოცულობის, ე.წ. „ბლოკური ციტატა“ ძირითადი ტექსტისაგან უნდა გამოიყოს აბზაცით:

> This example demonstrates a block quote. Because some introductory phrases will lead naturally into the block quote,
>
> > you might choose to begin the block quote with a lowercase letter. In this and the later examples we use "Lorem ipsum" text to ensure that each block quotation contains 40 words or more. Lorem ipsum dolor sit amet, consectetur adipiscing elit. (Organa, 2013: 234)

სტატიაში გამოყენებული ციტატები დახარეთ.

ციტირების წესები სრულად იხ. APA-ს სტილის ბოლო გამოცემის ოფიციალურ (განახლებულ) ვებგვერდზე: https://apastyle.apa.org/